

აფხაზეთის მთავრობის  
დადგენილება №39

2006 წლის 24 ნოემბერი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზემო აფხაზეთის სასწრაფო  
სამედიცინო დახმარების სამსახურის შექმნის შესახებ

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ზემო აფხაზეთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური.

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ (დ. ხორავა):

ა) განახორციელოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აფხაზეთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის სახელმწიფო კონტროლი;

ბ) უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აფხაზეთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცება და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნა.

მუხლი 2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

თავმჯდომარის მოვალეობის  
შემსრულებელი:

ვ. ჯგუბურია

რეგისტრირებულია აფხაზეთის იუსტიციის დეპარტამენტში  
რეგისტრაციის კოდი 47003000032040000054